Funded by the European Union

EU4ENERGY: მწვანე ზრდის ფონდი (GGF)



განხორციელების ვადა: 01.01.2009 - 31.12.2030

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 13 350 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 13 350 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
EIB, KfW

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
https://twitter.com/GreenGrowthFund

პროექტის ვებსაიტები: ggf.lu/

პროექტის აღწერა:

მწვანე ზრდის ფონდი (GGF) წარმოადგენს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ სპეციალიზებულ ფონდს. ის შექმნილია ენერგეტიკის და რესურსების ეფექტიანობის, ასევე განახლებადი ენერგიის განვითარების მიზნით სამეზობლოს ქვეყნებში. ფონდი აწარმოებს ფინანსური ინსტიტუტების რეფინანსირებას მათი მონაწილეობის გასააქტიურებლად აღნიშნულ სექტორებში; გარდა ამისა, ის ახორციელებს პირდაპირ ინვესტიციებს ენერგოეფეტიანობის და განახლებადი ენერგიის პროექტებში. ამ პროექტის საშუალებით ფონდის დაფინანსება მოიცავს აზერბაიჯანს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთს და უკრაინას.

მოსალოდნელი შედეგები:

- დონორთა დაფინანსების ეფექტურად გამოყენება ფონდების მობილიზაციით განვითარების ბანკებიდან და კერძო სექტორიდან.
- ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგეტიკის ინვესტიციების ციკლური დაფინანსება მცირე და საშუალო საწარმოების, შინამეურნეობების და მუნიციპალური ობიექტებისთვის ლოკალური ინსტიტუტების საშუალებით.
- პოტენციალის გაძლიერების, კონსულტირების და ტრენინგის ღონისძიებები, რითაც მოხდება სესხების გაცემის მხარდაჭერა და ცნობიერების ამაღლება.